სახალხო ფურცელი

№ 800 სამშაბათ 21 თებერვალი 1917 წ. № 800

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29

თავადი ერმალო გოჯასპირის ძე გელოვანი ამით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 22 ამ თებერვალს დღით ოთხშაბათს ახალქალის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი (ორი წლის შესრულების გამო) გარდაცვალებულის მეოთხე სახელმწიფოს სათათბიროს წევრის

თ. ვარლამ (კუჭიკო) ლევანისძის
გელოვანის

სულის მოსახსენებლად.

---

24 თებერვალს დღით პარასკევს 12 საათზე ქ. ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის

მარიამ ლეონტის ასულის
ჭყონიასა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: **მეუღლე სამსონ სიმონის ძე ჭყონია, მშობლები, ლეონტი და ირინე, და ძმა და ძმები გიორგი და ილიკო ებრალიძეები.** 225

მშობლები ალექსი ზაქარიას ძე, ეფემია ივანეს ასული, ძმები: იოსებ და გიორგი და და, ანნა უნაფქოშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა სოფ. კალაურში

ვარო ალექსის ასული

რომლის დაკრძალვა მოხდება 22 თებერვალს წმ. ნინოს ეკლესიაში ს. კალაურში, თ. მაზრა. 224

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“; **ნ. დუბროვსკის**—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“; **ექ. თაყაიშვილი**—„ხელთნაწერების მიმოხილვა“; **ი. მეუნარგიას**—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“; **გრ. რობაქიძის**—„ნიკო ბარათაშვილი“; **დ. უზნაძის**—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თითოეულს ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიული ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტის სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

წიგნი გამოვა 1917 წლის აპრილში

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, **ქუთაისში** ის. კვიცარიძესთან, იას. ბაქრაძესთან, პ. ყიფიანთან, **ბათომში** სიმ. მდივანთან და კოტე კობახიძესთან, **ფოთში** ლ. ჯაფარიძესთან და ალ. მდივანთან, **სამტრედიაში** ის. სტურუასთან, **ხონში** მოს. ჭელიძესთან, **სოხუმში** პლ. გელოვანთან, **ოზურგეთში** ალ. მხეიძესთან, **ჭიათურაში** თ. ჯაფარიძესთან, **საჩხერეში** ანეტა იურკევიჩთან, **ზუგდიდში** მიხ. მდივანთან, **თელავში** ივ. პაატაშვილთან, **ბაქოში** ილია აგლაძესთან, **გორში** სიმონ მაჭავარიანთან.

ფოსტით გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი „სახალხო ფურცელი“. 1419

ახალი დიდი ცირკი ახალი დიდი
ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**

სამშაბათს 21 თებერვალს,

გაიმართება

ორი დიდი წარმოდგენა

საღამო განუწყვეტელის გართობისა. დღეს პირველი გასტროლი თავის დარგში ერთად-ერთ სახელგანთქმულ არტისტების **ბ. ბ. კლემენტოხების** პირველად ტფილისში დიდი ფერია **ციცინათელები**, საკუთარი სახელოსნოს კოსტიუმები. 1 დებიუტი უშიშარ მოჯ ი რითის ჩერნოგორელ ქალის **M-lle ანნეტისა** დღეს მხოლოდ ორი ფენომენალური გასტროლი **გაქვავებულ კაცისა** ადამიანი ტიკინა, მე-XX ს. საკვირველება. პირველი გასტროლი კოხტა მსახიობის გიმნასტ **Ma-lle ბიანკისა. ჯგუფი მფრინავი ადამიანი.** 4 ვარსკვლავი პარიზისა, იტალიელთა მონაწილეობენ დასი ბრუნო პაპინისა. სასიამოვნო ნომრები, კლოუნები და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 ნახვ. საათზე.

ანონსი: ოთხშაბათს, 22 თებერვალს გაიმართება გაუგონარი ბენეფისი რუსეთის საუკეთესო კლოუნის ბ. ალექსისა თავის გაწვრთნილ ცხოველებით. პირველად მაიმუნები და თაგვები და ბევრი სხვა. **წაიკითხეთ აფიშები.**

განცხადება.
ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთა, რომ ნაცვლად 8 ამა თებერვლისა,

წლიური საზოგადო კრება

დაინიშნა ამავე თებერვლის 22-ს, საღ. 9 საათისთვის.

კლუბის წესდების მე-29 მუხლის თანახმად, კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნებია: 1. მიმდინარე საკითხები, 2. წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ, 3. განხილვა და დამტკიცება 1916 წლის ანგარიშისა, 4. განხილვა და დამტკიცება 1917 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და 5. არჩევნები მამასახლისთა, მათ კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. 1001

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 21 თებერვალს, 1917 წელს.

სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. სტუმრები საზოგადო წესით. 1002

„ახალი კლუბისათვის“
საჭიროა კაველდინერები

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ კანტორას. დილით 11 საათიდან 3 საათამდე. 1001

განცხადება

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის

საზოგადოების საბჭო

ამით აცხადებს, რომ კვირას 26 თებერვალს, ადგილობრივ თეატრის შენობაში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

1066 საბჭო.

პრობკები
ვუიდი სხვა და სორტისას,
მინერალურ წყალისა და ლუდისათვის.

იკითხეთ სოლოლაკში, სერგიევის ქუჩა, № 14 ეზოში მეეზოვეს. 220

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საზენიო დ საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ქუთაისში

ექიმი

მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 105

ექიმი

ს. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს, ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის მოედანი, ექიმი სოხოსტოვის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ [illegible] ქ. № 6.

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათ. მისამართი კიროჩნი ქ. 18. ტელეფ. 11-82

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ექიმი

ბ. გ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5^1/_2$ ს.-დან 8 ს.-მდე. ბიბილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ექიმმა

ფავლენიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: **კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 28/31.**

ექიმი ქბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. უაზნევის ქუჩა 14 კოჯრის ქუჩის შესახვევის 21.

საექიმო კაბინეტი ექიმ
კ. ს. ფონ-ირტელის

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, ქავილობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახვ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევი

უფროსი ორდინატორი ტფილისის ქალთა სამკურნალოსი.

იღებს ქალებით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის $1^1/_2$—$3^1/_2$ საათამდე, კვირა დღის გარდა. სერგიევის ქუჩა, № 1. ტელეფონი, № 16—87. 9140

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1061

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის

დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ქლექი დ გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა ×სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი ფიზიოთერაპიით და ელექტრონით. **თავის დღში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს.** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., **ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—23.**

ტფილისი, 21 თებერვალი, 1917 წ.

ეროვნული მოვალეობა

ჩვენი საზოგადოებრივი ძალები ყურადღებას აქცევენ საქართველოს საშინაო ცხოვრებას და ქართველობის მდგომარეობას. მაგრამ სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული ჩვენი ხალხის საუკეთესო და უდიდესი ნაწილი, რომელიც მშობლიურ კერას მოწყვეტილი ომს აწარმოებს.

[illegible] არ ყოფილა ჩვენთვის ეროვნული ფიზიკური არსებობის საკითხი, როგორც ეხლა; ომმა ახალი რთული და მძიმე პრობლემა წამოგვიყენა ქართველთა რაოდენობისა და ეროვნულ ჯანმრთელობის დაცვისა, მაგრამ სავალალოა, რომ ამ საქმისათვის ჩვენი ხალხი სრულიად მოუმზადებელი და მოუწყობელია. გამოანგარიშებულია, რომ ომში გადის მცხოვრებთა მეთოთხმეტედი, ხოლო იხოცება გაწვეულთა მერვედი. ამ მინიმალურ ანგარიშის მიხედვით ქართველთა რაოდენობა ჯარში აღემატება სამასი ათასს, ხოლო დახოცილ ქართველთა რიცხვი ორმოცი ათასს. ამ აუნაზღაურებელ ზარალითა არ კმაყოფილდება ომის ღმერთი. კიდევ უფრო საშინელია გადაგვარების ნიშნები, რომელთაც ომი ასაზრდოებს. სხვა და სხვა ჯურის და ჯანმთელობის ხალხის ყაზარმული ცხოვრება ავრცელებს მრავალნაირ სნეულებას, ვენერიულ ავადმყოფობას, ნერვების აშლილობას, ფსიხიურ განწყობილების შერყევას და ყოველგვარ ფიზიკურ სიმდაბლეს. დიდი ნაწილი ჯარისა ამ მიზეზებით ომის პირშივე იხოცება. ყველა გაზეთის რედაქციას უამრავი ცნობა მოსდის ფრონტებიდან სხვა და სხვა სნეულობით გამოწვეულ მსხვერპლის თაობაზე, მაგრამ კიდევ მეტად ცუდ გავლენას მოახდენს დაავადმყოფებულნი და დასახიჩრებული მეომარნი ჩვენს შთამომავლობასა და აწმყოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ომით შექმნილ მძიმე ცხოვრების პირობების შეცვლა-შემსუბუქება ერთობ შეუძლებელია, მაგრამ—უეჭველია—ღრმად განცდა არსებულ პირობათა დიდ სამსახურს გაუწევს ჯარს და გაუადვილებს ცხოვრებას. თანამედროვე ომმა ბრძოლის ასპარეზზე წაშალა საზოგადოების სხვა და სხვა წრეს შორის არსებული ზღუდე და თანასწორობას დაუმკვიდრა ადგილი. ქართველ მოლაშქრეთ საზოგადოებრივ ძალთა-განწყობილების ასეთი შეგნება უნდა ჰქონდეთ წმინდა ეროვნულის მოსაზრებით. ყოველი ქართველი მეომარი თანამემამულები უნდა ხედავდეს მიზანს, საფუძველს და მომავალს თავის არსებობისას და ყოველ საშუალებითაც ხელს უწყობდეს ერთმანეთის კეთილდღეობას. თუ მჭიდრო და ერთობლივი ცხოვრება საჭიროა საქართველოში, ასევე და კიდევ მეტად მიუცილებელია ქართველთა შორის ძმობისა და ამხანაგობის განმტკიცება ომის ველზე. დაჩაგრულ ჯარის კაცსა თუ გმირობის სახელ-მოხვეჭილ ქართველ მეომრებს ერთმანეთის სიცოცხლე და კეთილისყოფა უნდა აფიქრებდეს და აღარდებდეს. საცხოვრებელ პირობათა გაუმჯობესება, ქართველ ავადმყოფების ყოველგვარ წამლით უზრუნველყოფა, დაცვა ჰიგიენისა, სიწუნარისა და ყოველგვარ მდგომარეობის, რომელიც დაიცავს ქართველ ხალხის არსებობას ომის ველზე—აი ეროვნული მოვალეობა ქართველ მეომართა იმ ნაწილისა, რომელსაც საშუალება აქვს თავისი მდგომარეობით გამოხატოს მამულიშვილური გრძნობა და თანამემამულეთა ცხოვრება გააუმჯობესოს. ყოველმა ექიმმა, ჯარის უფროსმა და გამგემ უნდა იცოდეს, რომ ყოველი ჯარის-კაცის სიცოცხლე ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის, რომ ქართველ ჯარისკაცებისათვის ბრძოლა, მათ კეთილდღეობისათვის ზრუნვა ეროვნულ ზრუნვას შეადგენს.

სურსათით, წამლით და მოვლით კი არ უნდა ისაზღვრებოდეს პატრონობა თუ მზრუნველობა ქართველ ჯარისა, ყოველი ინტელიგენტი-უფროსი უნდა ცდილობდეს ყოველ ქართველ მხედრის გათვითცნობიერებას, რათა ყოველმა ჯარისკაცმა იცოდეს რისთვის იბრძვის, რა აკეთოს და რამდენად ძვირფასია იგი და თვისი შრომა მამულისათვის, სამშობლოსთვის.

ომის გარემო

ომის დღიური

როგორც მოსალოდნელი იყო ინგლისელების შეტევამ ბაღდადის მიმართულებით აამოძრავა სპარსეთში მომქმედი რუსის ჯარი. გუშინდელ დეპეშის ცნობით რუსის ჯარს ქერმანშაის მიმართულებით ქალ. ჰამადანი დაუპყრია და სენეს მიმართულებით ბუჯირის რაიონში კიდე სოფ. ხანკული. ორივე ოპერაციო მიმართულებანი ხანიკინისაკენ მიდიან, ე. ი. ბაღდადისაკენ. მართალია ამ ჟამად რუსის ჯარი ორივე მიმართულებით ხანიკინს თითქმის 300 ვერსითაა დაშორებული, მაგრამ რუსის ჯარის შეტევა მაინც დიდს დახმარებას გაუწევს ინგლისელებს, თუ კი შეტევა ინტენსიურად გაგრძელდება. რუსის შეტევა ჯერ ერთი დააბანდებს ამ მიმართულებებით მომქმედ ოსმალეთის ჯარს და საშუალებას მოუსპობს ბაღდადის რაიონში მომქმედ თავის ჯარს მიეშველოს. თუ რუსის ჯარმა დროზე მოახერხა და ზაფხულის სიცხეების დაწყებამდე როგორმე ხანიკინს მიაღწია, მაშინ ბაღდადის რაიონი მართლადაც განსაცდელში ჩავარდება. ჩვენ ეგახსოვს, რომ წინადაც თითქმის ასეთივე გარემოება შეიქმნა ბაღდადის რაიონში, მაგრამ მაშინ ოსმალებმა განსაცდელს თავი დაახწიეს და პირიქით გაიმარჯვეს კიდეც. როგორ დატრიალდება ეხლა საქმე, რასაკვირველია ძნელი სათქმელია. მხოლოდ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟამად ბაღდადის რაიონის დაცვა უფრო ცუდ პირობებშია, ვიდრე უწინ, რადგანაც ოსმალეთის რამდენიმე საუკეთესო დივიზია შორს ევროპაში არის გაგზავნილი და მათი დროზე დაბრუნება ძნელი საქმეა.

მთავარ ასპარეზებით თვალსაჩინო ცვლილებანი არ მომხდარა. მართალია ინგლისელების ჯარი საფრანგეთის ბრძოლის პირით აქტიურად მოქმედობს, მაგრამ მისი ოპერაციები ჯერჯერობით პოზიციონურ ბრძოლის ფარგლებს არ გასცილებიან. ყურადღების ღირსია, რომ აქ გერმანელები

ღრმად დამწუხრებული ეკატერინე მიხეილის ასული ტატიშვილისა შვილებითურთ ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მისი ძვირფასი და საყვარელი მეუღლის

ნიკოლოზ ბეჟანის ძე ტატიშვილის

გარდაცვალებას ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დ. ქობულეთში. რკინის გზის სადგურიდან გამოსვენება მოხდება დღეს, 21 თებერვალს, ნაშუადღევის 5 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ხოლო საღამოს იქნება გადახდილი პანაშვიდი. 22 თებერვალ წირვის შემდეგდაკრძალვა მოხდება წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში ვერაზე.

ნინო ბეჟანის ასული და კოსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანები და გიორგი ბეჟანის ძე ტატიშვილი გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დ. ქობულეთში. პირველის და მესამის ძმის ხოლო მეორესი ცოლის ძმის

ხიკოლოზ ბეჟანის ძე ტატიშვილისას

რკანის გზის სადგურიდან გამოსვენება მოხდება დღეს, 21 თებერვალს, ნაშუადღევის 5 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ხოლო საღამოს იქნება გადახდილი პანაშვიდი. 22 თებერვალს წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება წმ. ნიკოლოზის ეკლესიას გალავანში ვერაზე.

უფრო პასიურად მოქმედობენ: ალბად უკან დახევა წინასწარ გათვალისწინებული აქვთ და იმდენად დიდს მნიშვნელობას არ აკუთვნებენ ინგლისელების ოპერაციებს.

გუშინდელი დეპეშა მაკედონიის ბრძოლის პირიდან საყურადღებო ცნობებს გვაწვდის: მთელი ბრძოლის პირით არტილერიის სროლაა და მზვერავთა შეტაკება მონასტირის რაიონში. გაზეთებში არა ერთხელ ცნობა იყო, რომ ბულგარელები დიდს შეტევას ამზადებენ მონასტირის წინააღმდეგ. შეიძლება მოქმედების განცხოველება წინამორბედი იყოს ფართო ოპერაციის დაწყებისა.

ვ—ვა—ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 18 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. ნაროჩის ტბის ჩრდილოეთით მოწხამული გაზით იერიში მივიტანეთ და ამან მოპირდაპირის ჯარის შორის ალიაქოთი გამოიწვია. გერმანელების ბატალიონმა არტილერიის ერთი საათის სროლის შემდეგ იერიში მოიტანა ჩვენს თხრილებზე სლავეტანის რაიონში, ბრჟეზანის 15 ვერსის სამხრეთ-დასავლეთით, პირველში შემოიჭრნენ ჩვენს თხრილებში, მაგრამ რეზერვების კონტრიერიშით განვდევნეთ.

რუმინიის და კავკასიის ბრძოლის პირებით სროლაა.

პეტროგრადი, 19 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. დაბაკრევოს სამხრეთით მოწხამული გაზით იერიში მივიტანეთ და ამით აურზაური ავტეხეთ მოპირდაპირის პოზიციაზე.

რუმინიის ბრძოლის პირი. სროლაა.

კავკასიის ბრძოლის პირი. სპარსეთში ჩვენმა ჯარმა შეტევა დაიწყო და ბიჯარის მიმართულებით დაიპყრა სოფ. კანი-კალე, რომელიც ბიჯარის 35 ვერსის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და 17 თებერვალს დავიპყარით ქ. ჰამადანი.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი, 17 თებერვალი. ცნობა საღამოთი. თებერვალში დავატყვევეთ სულ 2183 გერმანელი, მათ შორის 36 ოფიცერი. სოფლები ტილუა, ტილუა ლაბარკი, ვალანკური, პტი-მირომონი, გრანკური, პუი-სომონ, სერი და გემკური დავიპყარით. ანკრზედაც მოპირდაპირე უკან იხევს. მირომონის ჩრდილოეთით ჩვენი ხაზი 600 იარდით წინ წავწიეთ. სუშეს სამხრეთით დღეს დილით მოწხამულე გაზი ვიხმარეთ, შევიჭერით მოპირდაპირის თხრილებში და ტყვეები წამოვასხით. ქიენში ლაბასეს ჩრდილო-აღმოსავლეთით შევიჭერით აგრეთვე თხრილებში და 9 კაცი დავატყვევეთ. არტილერიის ძლიერი სროლის წყალობით გერმანელები მოუახლოვდნენ ჩვენს თხრილებს აბლენკურთან და რანკურთან, მაგრამ კონტრიერიშით უკუვაქციეთ; რამდენიმე კაცი უკვალოდ დაგვეკარგა. იპრის რაიონში არტილერიის ძლიერი სროლაა.

პარიზი, 17 თებერვალი. ცნობა დღისით. სუასონის რაიონში, ვენგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით. გერმანელების ორი მოულოდნელი იერიში სროლით მოვიგერიეთ. მოპირდაპირე დაზარალდა. არგონში გერმანელების თხრილში შევიჭერით ვოკურის ახლო და ტყვეები წამოვასხით. ავანკურის ტყეში არტილერიის განცხოველებული სროლაა. დანარჩენ ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი, 17 თებერვალი. ცნობა საღამოთი. მთელი ბრძოლის პირით დღემ მშვიდობიანად ჩაიარა; ქვეითა ჯარს არ უმოქმედია. ჩვენმა არტილერიამ მარჯვედ დაუშინა მოპირდაპირის სანგრებს მდ. ენის ჩრდილოეთით და მაასის მარცხენა ნაპირით.

ლონდონი, 18 თებერვალი. ცნობა საღამოთი. დღეს კვლავ წინ წავიწიეთ ბარლენკურის ჩრდილოეთით, პუი-სომონის ჩრდილო-დასავლეთით, გედანკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ტილუას ჩრდილო-დასავლეთით. დილით ადრე გერმანელების იერიში მოვიგერიეთ. ანკრთან დღევანდელ ბრძოლაში დავატყვევეთ 128 კაცი, მათ შორის ერთი ოფიცერი.

პარიზი, 18 თებერვალი. ცნობა დღისით. ღამით ჩვენმა მზვერავთა რაზმებმა რამდენჯერმე მარჯვედ გაილაშქრეს გერმანელების თხრილებზე. მულუნ-სუ-ტუევანთან, „304“ მაღლობის აღმოსავლეთით და აპრემონის ტყეში, წავართვით ტყვეები და ნადავლი.

პარიზი, 19 თებერვალი. ცნობა დღისით. უაზასა და ენის შუა ჩვენი რაზმები შეიჭრნენ მოპირდაპირის პოზიციებზე ნუვრონის სამხრეთით, გერმანელების მეორე ხაზს მიაღწია და სანგრები დაუნგრია. სროლით მოვიგერიეთ მოპირდაპირის იერიში ოტბრეს სამხრეთით. მაასის მარცხენა ნაპირით ეტიენისაკენ მიმავალ რკინის გზის ჩრდილოეთით და სამხრეთით გავფანტეთ მოპირდაპირის რაზმები. ალზასში მოპირდაპირის იერიში მოვიგერიეთ ამერცვილერის და ბურნჰაუპტის რაიონებში.

მაკედონიის ასპარეზი.

პარიზი, 18 თებერვალი. ოფიციალური. მაკედონიის მთელი ბრძოლის პირით არტილერიის სროლაა, მეტადრე ძლიერი ცრნის უბის რაიონში. მზვერავთა შეტაკებაა მაჯდაგის და მონასტირის რაიონებში, „1050“ მაღლობის მახლობლად. იტალიის ჯარი მედგარ შეტევას აწარმოებდა, დაუნგრია მოპირდაპირეს პოზიციები და ტყვეები წაართვა. მოპირდაპირის კონტრიერიშები მოიგერია. ვარდარის და პრესბას შუა მდებარე რაიონში დიდი თოვლია.

კიშინევი, 17 თებერვალი. რენიდან იუწყებიან: ცნობაა მიღებული, რომ ბულგარელები მხნედ ემზადებიან დიდი შეტევისათვის მონასტირის რაიონში.

გერმანია და ამერიკა.

ვაშინგტონი, 16 თებერვალი. „ასოსიეტდე პრესა“ აქვეყნებს გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტის ტექსტს, რომელშიაც [illegible] ამია: როდისაც გერმანიამ [illegible] დაიწყო, მექსიკას წინადადება მისცა, აიძულე იაპონია ოთხთა შეთანხმების კავშირს თავი დაანებოს, შეუერთდეს გერმანიას და შეერთებულ შტატების წინააღმდეგ გამოვიდესო. მექსიკას ჯილდოთ ფულს ჰპირდებოდნენ და აგრეთვე ტეხას და ახალი მექსიკის და ორინოკის პროვინციებს და აგრეთვე სხვა უპირატესობას ზავის ჩამოგდების დროს.

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ იაპონია არასოდეს ყურსაც კი არ ათხოვებდა ისეთ წინადადებას, რომლითაც გერმანიამ მექსიკას მიჰმართა.

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის ციმერმანის წერილის გამო შეერთებულ შტატების მთავრობა არავითარ ნოტას არ გაუგზავნის გერმანიას. მაგრამ ფიქრობენ, რომ მაინც დიპლომატიური მიწერ-მოწერა გაიმართება.

ვაშინგტონი, 18 თებერვალი. ვილსონის წარმომადგენელმა აცნობა სენატის ლიდერებს, რომ ვილსონი გერმანიასთან ომის გამოცხადების საკითხში არავითარ ნაბიჯს არ გადასდგამს და მოუცდის კონგრესის არაჩვეულებრივ კრების მოწვევას.

ტოკიო, 18 თებერვალი. გარეშე საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარჰყოფს, რომ ვითომ მას მოსვლოდეს გერმანიის წინადადება მექსიკასთან ერთად შეერთებულ შტატების წინააღმდეგ გამოდიო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიის სამზადისი.

„უტრო როსიი“-ს მომქმედ ჯარიდან ატყობინებენ; ამ ჟამად კრუპის ქარხნებში დიდძალ ახალ ზარბაზნებს ამზადებენ 12—14 მეტრის სიგრძისა, რომელნიც 205 მილიმეტრის ყუმბარას 14 კილომეტრის სიშორეზე ისვრიან. ზარბაზანი უდაზგოდ 120 ფუთს იწონის. გერმანელები დიდს იმედს ამყარებენ ამ ზარბაზნებზე, რომელნიც ბევრით უფრო ძლიერ მოქმედობენ, ვიდრე ფრანგების განთქმული 45 მილიმეტრიანი ზარბაზანი.

ვილსონის წინადადების უარყოფა.

ლონდონიდან „უტრო როსიი“-ს ატყობინებენ: ამერიკის სენატის იურიდიულმა კომისიამ უარჰყო ვილსონის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლითაც იგი უფლებას მოითხოვდა ფლოტი და ჯარი თავის მიხედვით მოიხმაროს ამერიკელ მოქალაქეთა დაცვისათვის.

ბევრი სენატორის აზრით ასეთ უფლებას ვილსონს ვერ მიანიჭებენ, რადგანაც მას საშუალება მიეცემა ბრძოლაში ჩაერიოს ომის ოფიციალურად გამოუცხადებლად. პრესის აზრით სენატი უარჰყოფს კანონპროექტს, რადგანაც კონსტიტუციით პრეზიდენტს ისედაც საკმაო უფლება აქვს.

ავსტრია-უნგრეთი უარჰყოფს ამერიკის წინადადებას.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის ცნობით ვენის მმართველ წრეებს გადაწყვეტილი აქვთ უარჰყონ ვილსონის მემორანდუმი, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოიწვევს შეერთებულ შტატებსა და ავსტრიის შორის დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას.

ამერიკის სახელმწიფოთა საერთო გამოსვლა.

პარაგვაის რესპუბლიკამ წინადადება მისცა ვილსონს მოუწოდე ყველა ამერიკის სახელმწიფოთ კონფერენციაზე, სადაც გადაწყდება საკითხს გარეშე პოლიტიკაში საერთო გამოსვლისა.

ციმერმანის განცხადება.

პარიზიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: ბარცელონიდან მოსულ ცნობით გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს ციმერმანს უსაუბრია გაზეთ „ვანგარდი“-ას კორრესპონდენტთან და სხვათა შორის უთქვამს: წყალ-ქვეშ ბრძოლას ბოლოს და ბოლოს ჰუმანიური მიზანი აქვს, რადგანაც გემების გაუფრთხილებლად ჩაძირვა ზავს მოგვიახლოებს და ომს ბოლოს უფრო ადრე მოუღებს. ამიტომ ნეიტრალური სახელმწიფონი დაინტერესებულნი უნდა იწყვნენ წყალ-ქვეშ ბრძოლაში, რომელიც უადვილებთ დიდი სახელმწიფოების უღლის მოხსნას, ციმერმანმა დაადასტურა გერმანიის გადაწყვეტილება, შეუპოვრად და განურჩევლად ჩასძიროს, როგორც მეომარ აგრეთვე ნეიტრალურ სახელმწიფოთა გემები.

გერმანიის გემის ძებნა.

პარიზიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: ნიუორკიდან მოსულ ცნობით ინგლისის 11 სამხედრო გემი და აგრეთვე რამდენიმე ფრანგების და იაპონიის გემები წავიდნენ გერმანიის დამხმარე კრეისერის „პიუმე“-ს საძებნელად. ეს კრეისერი კარგა ხანია ოკეანეში თარეშობს და ლუპავს გემებს.

საყურადღებო თათბირი.

კოპენჰაგენიდან „რანეე უტრო“-ს ატყობინებენ, რომ ვენაში მოწვეულია პარლამენტარიების განსაკუთრებული კრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სხვათა შორის სამხედრო პირნიც. იმავე დროს გერმანიის კანცლერმაც საგანგებო თათბირი მოიწვია. სკანდინავიის პრესა დიდს ყურადღებას აქცევს ამ ორს ერთსადა იმავე დროს გამართულ თათბირს, რომელნიც დიდს ამბებს მოასწავებენ.

ახალი ამბავი

◆ „განათლების“ საზოგადოების ქალთა საოსტატო სემინარია დიდ მადლობას უცხადებს ქვემოხსენებულ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს თავიანთ წვლილი ზემოხსენებულ ქალთა სემინარიას: 1) ხირსის შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებამ—25 მან., 2) ქ. ტფილისის მესამე შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობამ—75 მან., 3) ქვემო მაჩხაანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ—25 მან. და 5) მაკრინე იოსების ასულმა პაიჭაძისამ—ერთი თუმანი სემინარიის ბიბლიოთეკის გასაძლიერებლად.

◆ ოთხშაბათს, 15 მარტს „ახალ კლუბის“ დარბაზში ბ. ვარ. ლორთქიფანიძე გამართავს კონცერტს ფართო პროგრამით. დაწვრილებით აფიშებში

◆ **კავკასიის სუნიტების მუფტი ლაიბოვი** გარდაიცვალა კვირას საღამოს. განსვენებულს ამ დღეებში დაკრძალავენ.

◆ **ღარიბთათვის ზრუნვა.** ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების თაოსნობით ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც საქველმოქმედო ხასიათი ექნება. საზოგადოების მიზანი იქნება სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა ღარიბის ხალხისა.

◆ **დუქნები სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახთათვის.** ტფილისში აარსებენ ეკონომიურ დუქნებს სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახთათვის. ამ საქმეს თაოსნობს სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებისთვის მზრუნველი საქალაქო კომისია.

◆ **ახალი კლუბის წევრთა წლიური** კრება გაიმართება ხვალ, 22 თებერვალს საღამოს 9 საათზე. კრებამ, სხვათა შორის, 1916 წლის ანგარიში უნდა განიხილოს და ახალი მამასახლისები უნდა აირჩიოს.

◆ **ახალ კლუბს** 1916 წლის განმავლობაში შემოსავალმ ჰქონია 284,473 მან. 99 კაპ. წმინდა მოგება დარჩენია 29,289 მან. 70 კაპ.

◆ **საქველმოქმედო საქმეებზე** ახალ კლუბს 1916 წელს გაუღია 3,195 მან.

◆ **გამოქცეული ჯარისკაცნი.** შეიპყრეს ტფილისში გამოქცეული ჯარისკაცნი: ანტონ იაკოვლევი, ივანე ხელაშვილი, ნიკოლოზ ხატისაშვილი, გარეგინ მამიკონიანცი, ივანე კობახიძე, არუთინ მიკირტიჩევი, გეორქ ბიძაიანცი, მნაცაკან სტეფანიანცი და ნიკოლოზ რიაბცევი.

◆ **სამართალში აძლევენ** მეპურეს თევდორე ომიაძეს, რომელსაც პურის ნიხრის დარღვევას აბრალებენ.

◆ **სტიპენდიები** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების მთავარი გამგეობა დღევანდელს კრებაზე სხვათა შორის, განიხილავს საკითხს დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიების განაწილების შესახებ.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების.** განყოფილებანი მოვალენი არიან მთავარ გამგეობას დაუყოვნებლივ გამოუგზავნონ თავიანთ წევრთა უკანასკნელი სიები, რათა ამ სიების მიხედვით განისაზღვროს, რომელ განყოფილებას რამდენიმე რწმუნებული უნდა ჰყავდეთ მთავარ გამგეობის მომავალ არჩევნების დროს.

სოფლად და ქალაქად

ხონი

◆ კვირას, 19 თებერვალს, ადგილობრივ ელექტრო თეატრის დარბაზში გაიმართება ხონის წვრილი კრედიტის საზოგადოების წლიური კრება. განსახილველია სხვა და სხვა კითხვები.

◆ როგორც დანამდვილებით გვეგეთ ადგილობრივი სავაჟო გიმნაზია გადასულა სავსებით ხაზინის ხელში. დღემდის კი ხსენებული გიმნაზია ინახებოდა ნახევრათ ხაზინის და ნახევრათ საზოგადოების ხარჯით.

გორი.

◆ მრავალ საჩივრის გამო, გორის ბოქაული რუდენკო გადააყენეს და მისი ადგილი ჩააბარეს ბორჯომის ბოქაულის თანაშემწეს ალექსიძეს.

ქართლი.

◆ ქართლის ზოგიერთ სოფლებს მთავრობის აგენტებმა გამოუცხადეს, შეგიძლიანთ იყიდოთ ის მამულები რომელნიც წინად საქართველოს ეკლესიას ეკუთვნოდა და დღეს სახაზინოდ ირიცხება.

ახალი ხანა ქართულს სიტყვა-კაზმულს მწერლობაში

1. პატარა შესავალი.

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა, როგორც ნაყოფი ქართველი ერის სულიერი შემოქმედებისა, განუყრელად უკავშირდება იმ ერების ალეთსავე ნაწარმოებთ, რომელნიც მასთან მტკიცე კულტურულსა და ისტორიულს ურთიერთობაში იმყოფებიან. ჩვენი მწერლობა ერთს აუცილებელს რგოლს შეადგენს მსოფლიო მწერლობის იმ ნაწილთა შესაკავშირებლად, რომელთაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხატვრული შემოქმედება ეწოდება. იგი აერთებს ამ ორი დიდი ქვეყნის ხალხთა სულის ნაწარმოებს; საქართველო აკავშირებს აზიურისა და ევროპიულის სულის შემოქმედებას არა მარტო სიტყვა-კაზმულ მწერლობით არამედ ხელოვნების სხვა დარგითაც, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ სამხატვრო მწერლობაზე შევჩერდებით და განსაკუთრებით მისს იმ ხანაზე, რომელიც ახალს და მასთან თითქმის სრულიად დამოკიდებელს ნაწილს შეადგენს. ეს ახალი ხანა მეექვსე ნაწილია მთელი ჩვენი მწერლობისა, რომელიც დღემდის ხუთს უდიდესს ხანად განიყოფება მისი არსებობის დასაწყისიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის დასრულებამდე. ვამბობთ დამოუკიდებელს ნაწილს-თქო იმიტომ, რომ მან დღეს მიმბაძველობის ხანა დასტოვა და საკუთარი სახე იპოვა. აი ეს უკანასკნელი ხანაა ჩვენი დღევანდელი წერილის მიზანი, ხოლო ჯერ საჭიროდ მიმაჩნია მოკლე ისტორიული მიმოხილვის აღნიშვნა ამ უკანასკნელ ხანამდე, რომ ახალიც უკეთ გავითვალისწინოთ.

2. მოკლე ისტორიული მიმოხილვა უკანასკნელ ხანამდე. *)

პირველ ხანაში, 5—6 საუკუნიდან მე-11-ტამდე, როცა ჩვენი საეკლესიო-სასულიერო მწერლობა იყო გამეფებული, მწერლობას მხოლოდ სასულიერო პირები წარმოებდნენ. ესენი, გარდა იმისა, რომ სთარგმნიდნენ უცხო მწერლების ნაწარმოებს და ამით ამდიდრებდნენ მშობლიურს ლიტერატურას, დიდსა და დაუღალავს შრომას ეწეოდნენ საერთოდ მსოფლიო მწერლობის სასარგებლოდაც. ამ მხრივ მათი ღვაწლი ღირს შესანიშნავია რადგან ბევრი ქართული თარგმანი ისეთს ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელთა დედანიც ან სრულებით არ შენახულა, ან და ჩვენამდის მხოლოდ ნაწყვეტების, ფრაგმენტების სახით მოუღწევია. ამასთანავე ქართველი მთარგმნელები არა თუ მარტო უცხო ენითგან სთარგმნიდნენ ქართულად, არამედ სამშობლო ენიდანაც უცხო ენაზე; ხანდახან პირდაპირ უცხოზედაც სწერდნენ, რომ ამგვარად თავიანთი აზრები უცხოელთა შორის უკეთ გაევრცელებინათ. მაგალ. ასეთს მთარგმნელთა შორის საუკეთესო პირად ითვლება ჯერ ექვთიმე ათონელი, მთაწმინდელად წოდებული, რომელმაც ქართულიდან სთარგმნა ბერძნულად „სიბრძნე ბალავარისა“. ეს მოთხრობა ისე ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაშინდელ დროის ქრისტიან ხალხთა შორის, რომ იგი დიდს მეტოქეობას უწევდა თურმე ბიბლიას. ექვთიმეს ამ ნაშრომიდან იქმნა შემდეგში გადათარგმნილი ეს მოთხრობა თითქმის ყველა ევროპიულს ენაზე. მასვე უთარგმნია ზოგიერთი სხვა ნაწარმოებიც. მეორე ადგილი უჭირავს გიორგი მთაწმინდელს; მასაც შეუტანია თავისი თვალსაჩინო წვლილი მსოფლიო მწერლობის საუნჯეში. გ. მთაწმინდელს დაუწერია ცნობილი ლექსი „მწუხრის რეკვა“ (საღამოს ზარი—**Вечерній звонъ**), რომელიც მრავალს სხვა ენებზედაც არის გადათარგმნილი. რუსულად კი იგი ინგლისურიდან უთარგმნია ივ. კაზლოვს.

მერვე საუკუნეში გაჩნდა ჩვენში ორიგინალური სასულიერო პოეზიაც, განსაკუთრებით ლირიკა. ამავე დროს წარმოშობილა საეკლესიო მჭევრმეტყველებაც, რომელიც, ცხადია, უცხო მწერლობის მიბაძვითა და მათი გავლენის ქვეშ განვითარებულა. მეცხრე საუკუნიდან კი აღორძინდა წმინდა საერო-საისტორიო მწერლობაც. ქრონიკებისა და მთლიანი, პრაგმატიულად დამუშავებული საისტორიო მასალების სახით. მონასტრის მყუდროებაში შექმნილმა სიტყვის სიმშვენიერემ ნიადაგი დაუმზადა წმინდა საერო ლიტერატურის წარმოშობასაც, მისი ფორმის უაღრესად გამშვენებას. ცხადია, მწერლობის ასეთი განვითარება შედეგი იყო საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერებისა. ამ დროის საქართველო უმაღლესი არისტოკრატიისა, სასახლისა და ფეოდალური ელემენტების სარბიელად იყო გადაქცეული. მაშინდელი საქართველოს ზრდა და განვითარება მისს პოლიტიკურ-ეკონომიურ გაძლიერებასა და საზღვრების გაფართოებაში გამოიხატებოდა. დაიწყო იგი ბაგრატ III დროს († 1014 წ.), თან და თან გავრცელდა დავით აღმაშენებლის დროს († 1125 წ.). და დაგვიგვირგვინდა დიდებული თამარის მეფობაში († 1212 წ.). ამ დროის საქართველოს საზღვრები შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე აღწევდა და კავკასიონის მთებიდან აზრუმსა და ტრაპიზონამდე.

სასახლესა და ფეოდალებს აღარ აკმაყოფილებდა მარტო ცალმხრივი სასულიერო პოეზია. სამხედრო გამარჯვებითა და ფუფუნებით განვითარებული გემოვნება სხვა, უკეთებს სულიერს საზრდოს ეძებდა. და იპოვა კიდეც იგი არაბების მონობისაგან განთავისუფლებულს სპარსეთში, სადაც ჰყვაოდა შეუდარებელი პოეზია დიდებულ ფირდუსისა და ნიზამისა. ამნაირად სპარსულიდან ნათარგმნმა მწერლობამ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს საერო მხატვრულ ლიტერატურას. მაგალითად, მაშინ გადმოთარგმნილა პროზით სპარსული გალექსილი რომანი „ვისრამიანი“ და პროზითვე თარგმნილა საგმირო ეპოსიც. ამ ნათარგმნ წარმოებას მოჰყოლია ორიგინალური თხზულებებიც: შავთელის „აბდულმესია“—დავით-აღმაშენებლის ხოტბა-შექება; შემდეგ ჩახრუხაძის „თამარიანი“ თამარის ხოტბათა კრებული. თამარის მეხოტბე, სპარსულ გმირთა ხსენების გარდა არც ჰომიროსის „ილიადის“ გმირებს ივიწყებს. ეს ცხადად მოწმობს იმას, რომ მაშინდელს ქართულს განათლებულს საზოგადოებას კარგად სცნობია ძველი საბერძნეთის საერო მწერლობაც. სამწუხაროდ, ამ ოდების მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის ჩვენში საკმაოდ დაფასებული და შეგნებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ ამის შესახებ ლაპარაკი უადგილოდ მიმაჩნია. მხოლოდ მსურველს შეუძლიან მიჰმართოს აკად. ნიკო მარის შესანიშნავ გამოკვლევას: **Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи т. IV.** საქართველო სცხოვრების ეს ოქროს ხანა ღირსეულად დააგვირგვინა უკვდავი შოთას „ვეფხის ტყაოსანმა“. დღეს აღარავის აქვს ეჭვი იმისა, რომ ეს შესანიშნავი პოემა ქართველი ერის საუკეთესო მგოსნის შექმნილია და ერიც ღირსეულად ამაყობს ამით. წმინდა ესთეტიურ გემოვნების დატკბობასაც რომ თავი დავანებოთ, „ვეფხის ტყაოსანმა“ სხვა მხრივაც დაუფასებელი სამსახური გაუწია ქართველ ერს: მან ხელი შეუწყო ჩვენს აღორძინება-გამოფხიზლებას და ამასთანავე მანვე გააცნო ჩვენი თავი მთელს კულტურულს კაცობრიობას: „ვეფხის ტყაოსანმა“ უცხო ერების ულრმესი სიმპატიაც დაიმსახურა, იგი ბევრს ევროპიულს ენაზე არის დღეს გადათარგმნილი და ჩვენი მწერლობა ერთის უმჭიდროესი ნასკვით დაუკავშირა ევროპის ლიტერატურას. და ეს გარემოება ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობასაც სასიამოვნოდ ალიზიანებს.

— გადავდივარ შემდეგ ხანაზე. დავით აღმაშენებლის და თამარის ბრწყინვალ ხანას ჩამოქვეითების და დაცემის ხანაც მოჰყვა: ველურ მონგოლთა შემოსევამ ძირიან-ფესვიანად შეარყია ქართველი ერის სულიერი და მატერიალური საფუძვლები. ამიტომ ამ დროის ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება: იგი თითქმის სრულიად შესწყდა, თუმცა არ კი დაფერფლილა. ასეთმა უნუგეშო მდგომარეობამ მე-XVI საუკუნის დამლევამდე გასტანა, და ეს ძესამე ხანა, ხანა დაცემისა, თითქმის სულ უნდა ამოიშალოს ქართულ სამხატვრო მწერლობიდან. მეოთხე ხანას შეადგენს მ-17 18-ტე საუკუნის მწერლობის აღორძინება. ამ დროს ხელ-ახლა იღვიძებს ლიტერატურული შემოქმედება. იგი ეხლა ერთის მხრით რუსთველის საუკუნეს მიაპყრობს აღგზნებულს თვალებს და მეორე მხრით კი თანამედროვე, ახალი სპარსეთის სამხატვრო ხელოვნებას შეჰყურებს და მისგან სესხულობს თავისი მწერლობის ფორმა-შინაარსს. ეხლაც იგივე სპარსეთი აძლევს საქართველოს მასალებს სათარგმნელად. ეხლა ქართველი გვირგვინოსნებიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ როგორც სამხატვრო ლიტერატურულს შემოქმედებაში, ასე სამეცნიერო, საისტორიო, საგეოგრაფიო და სასულიერო მწერლობაშიც. ამ დროის ქართული ლიტერატურის აღორძინების მიმართულება უმთავრესად ეროვნულ-ისტორიულია, თუმცა შიგა და შიგ შეზავებულია დიდაქტიურისა და მისტიურის ელემენტებით. ამ მეოთხე ხანას იწყებს

---

*) ეს ცნობები მომყავს პრივატ. იოსებ ყიფშიძის წერილის მიხედვით, რომელიც 1916 წ. რუსულ საისტორიო და სალიტერატურო კრებულის „სამშობლოს“ პირველ ნომერში მოთავსებული.

წ.-კ. ს. დამფუძნებელი კრება

კვირას, 19 თებერვალს, ახალ კლუბის დარბაზში დაიწყო წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის განყოფილების დამფუძნებელი კრება. ასეთი ცოცხალი და მრავალრიცხოვანი კრება ტფილისს არ ახსოვს ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, თუ წინად ამისთანა კრებაზე ასი კაცი ბევრი იყო, ახლა ათას კაცზე მეტი გამოცხადდა და კლუბის დარბაზი მთლად გაჭედილი იყო ხალხითა.

კრება გახსნა დამფუძნებელ წევრთაგანმა დროებით გამგეობის თავმჯდომარემ შიო დედაბრიშვილმა. ჩვენი მოლოდინი გამართლდა და დასელები კრებაზე მოვიდნენ პარტიულად დარაზმულნი, თავიანთ პარტიულისავე ჟინიანობის დასაკმაყოფილებლად. წამოყენდა საკითხი კრების თავმჯდომარის არჩევისა. დრო რომ არ დაგვეკარგა კვირასვე გათავებულიყო უმთავრესი საქმე კრებისა—გამგეობის არჩევნები, გვინდოდა კრების თავმჯდომარედ დარჩენილიყო მისი გამხსნელი ბ-ნი შიო დედაბრიშვილი, კაცი ყველასგან პატივცემული და თანაც პარტიათა გარეშე მდგომი. მაგრამ დასელებმა ყიჟინი ასტეხეს და თავმჯდომარედ დაასახელეს თავიანთი კაცი—ნ. ელიავა. ამის შემდეგ შ. დედაბრიშვილს, რასაკვირველია არ შეეძლო თავმჯდომარედ დარჩენილიყო და მანაც უარი სთქვა. რაკი თავიდანვე ასეთი ხასიათი მისცეს საქმეს დასელებმა, ჩვენც თავმჯდომარედ შ. დედაბრიშვილის შემდეგ გიორგი ლასხიშვილი დავასახელეთ. თავმჯდომარის არჩევა მოხდა ფარულის კენჭის ყრით, ყუთებით და მთელი კვირინდელი კრება მხოლოდ თავმჯდომარის არჩევას მოუნდა. ამნაირად, დასელების ჟინიანობის გამო ამ კვირასაც ვერ დასრულდა კრებები.

არჩევნების შედეგი ამნაირი იყო: გ. ლასხიშვილმა მიიღო თეთრი 472 და შავი 431 კენჭი. ნ. ელიავამ მიიღო 493 თეთრი და 402 შავი. ამნაირად არც ერთი არ გაშავებულა, მაგრამ შედარებითი უმეტესობა ხმისა მიიღო ნ. ელიავამ—21 კენჭით მეტი.

მთელ ამ ამბავმა გასტანა საღამოს 5 საათამდე. აღსანიშნავია, რომ დასელების იმდენმა პარტიულმა მუშაობამ და „საქართველოელების“ მათთან კავშირმა ამ ხალხს მხოლოდ ოც და ერთი ხმის უმეტესობა მიანიჭა. უნდა ვსთქვათ კიდევ, რომ კვირინდელ კრებას დაესწრო თითქმის მხოლოდ დემოკრატია; ინტელიგენცია სულ ნაკლებად იყო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როდესაც ტრამვაის მუშებმა მოითხოვეს: ნება მოგვეცით ჩვენ კენჭი მივცეთ, სამუშაოდ გვეჩქარება, ყოვლად შეუძლებელია დავრჩეთ, სამსახურიდან დათხოვნა მოგველისო — დასელებმა ყიჟინა ასტეხეს. მუშათა ინტერესებზე ყოველთვის მყვირალა ხალხმა სწორედ აქ გამოიჩინეს ორგულება მშრომელ ხალხისადმი და საშუალება არ მისცეს ორმოცამდე ტრამვაელს და ბევრ ფარმაცევტს თავიანთი მოვალეობა აესრულებინათ. დასელების სამსახური დემოკრატიისადმი თურმე ასეთი ყოფილა და ეს უმგვანო და ასაშფოთებელი საქციელი ძლიან დამახასიათებელია სოციალ-დემოკრატების „სოციალისტობისა“ და ჭეშმარიტ „დემოკრატობისა“. ეს ფაქტი იმდენად დამახასიათებელია, რომ მას კიდევ დაუბრუნდებით.

აღსანიშნავია კიდევ, რომ დასელებს კრებაზე მოეყვანათ სომხები, რუსები და თათრები, რომელთაც, რასაკვირველია, არავითარი წარმოდგენა ჰქონიათ წ. კ. საზოგადოებისა და მხოლოდ კენჭობისათვის იყვნენ მოყვანილნი. საერთოდ კი კვირინდელი კრება თავის, სიცოცხლით, მრავალ რიცხოვანობით სასიამოვნო შესახედავი იყო. ჩვენი მცონარა და ზარმაცი ინტელიგენცია კი დასაგმობია, რომ ამ კრებაზე თითქმის სრულიად არ გამოცხადებულა. იმედია შემდეგ კრებას, რომლის დღეც გაზეთებში იქნება გამოცხადებული ყოველი შეგნებული ქართველი დაესწრება.

დამსწრე.

კვირის კრება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ტფილისის განყოფილების ცხრამეტ თებერვლის დამფუძნებელი კრება ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს არა მარტო წერა-კითხვის საზოგადოების ცხოვრებაში, ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობისთვისაც. ახალ კლუბის უდიდეს დარბაზს ჯერ არ მოსწრებია ასეთი კრება, ჯერ არც ერთ დაწესებულებას არ ახსოვს ასეთი ყრილობა, ათასზე მეტი ხალხი მოვიდა კრებაზე, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმის თვის სასურველი სახე მიეცათ.

სიხარულით უნდა აღვნუსხოთ, რომ 19 თებერვლის კრებამ გამოაშკარავა ჩვენი ხალხის ეროვნული გაზრდა, ეროვნული თვით-ცნობიერობა. ორმოცი წელიწადი იბრძოდა ქართული პრესა ქართულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საქმეებისათვის, ორმოცი წელი ვიბრძოდით ეროვნულ აღზრდისათვის, ეროვნულ ძალთა მოკრებისათვის. ყალბი ეროვნულ-ნიჰილისტური მიმართულების გამო დღემდე ქართველ დემოკრატიის სხეულში არ სდიოდა ეროვნულ აღტყინების სისხლი, გაურბოდით ყოველგვარ თავისებურს, ქართულს, ეროვნულს და ეროვნული სახეობის გამომჟღავნების გვრცხვენოდა კიდეც.

დღეს სხვა დროა, დემოკრატია დემოსი, ხალხი დაინტერესდა ეროვნულის საქმით და ეს ინტერესი გამოწვეულია არა წერა-კითხვის „პაის“ გაიაფებით, მანეთიანი გადასახადებით, არამედ ეროვნულ ცნობიერობის გაზრდით. ჩვენ კარგი აზრისა ვართ ხალხზე, რომ მანეთიანი გადასახადებით გადავახურდავოთ ხალხის სიყვარული ეროვნულ დაწესებულებისადმი. ხუთი და ათი მანეთიც რომ იყოს წერა-კითხვის საზოგადოების გადასახადი ხალხი ზურგს ვერ შეაქცევს ეროვნულ ძვირფას დაწესებულებას, ვინაიდან ის ერის სიყვარულის და ცნობიერობის საფუძველია, იმიტომ, რომ ეხლა ერის სიყვარულის ხანაა, რომელსაც ვერავითარი ქონება, ვერავითარი სიმდიდრე ვერ დაჩრდილავს.

გასულ კრებას აშკარა დემოკრატიული ელფერი ჰქონდა. დარბაზის მარცხენა ნაწილი გაჭედილია ხალხით, რომელსაც „ზვირთის“ მუშები ხელმძღვანელობენ, მარჯვნით კი სდგას მასსა, (აქა სჩანს ესრედ წოდებული ნაციონალ-დემოკრატების ნაწილი), „თან. აზრის“ დირექტივებს რომ ემხრობა. კრება მკაცრ ბრძოლის სურათს გვაძლევდა. ბევრს ეს აშინებდა და აფიქრებდა, მაგრამ ამ ჩვეულებრივ საარჩევნო მოვლენას ჩვენ ვსთვლით ეროვნულ თვით-გამორკვევის ერთ ფორმად და ის არც გვაშინებს და არც გვაკვირვებს.

კრების ყოველი ნაწილი, წევრი იბრძოდა ეროვნულ გრძნობისათვის. ვინ არის კარგი დამცველი ეროვნულ ცხოვრების ატრიბუტისა?—აი რას ამჟღავნებდნენ კრების დამსწრენი. ეს მიგვაჩნია უმთავრეს ყურადღების საგნად, ისტორიულ მოვლენად.

კრებას არ ამშვენებდა ქართველთა „ბრწყინვალე“ ინტელიგენცია, არც თავად-აზნაურობა. აქ იყო ხალხი, შრომის ხალხი, დაკორძებული ხელებით და ისინი იბრძოდნენ ეროვნებისათვის. აი ეს არის სამაგალითო და შესანიშნავი მოვლენა.

თავისებური იყო ეს კრება შემადგენლობით, მაგრამ ახალ ეროვნულ მიმართულებას უმთავრესად ახალი ხალხი, ახალი თაობა გამოხატავდა. ფერმიმკრთალნი იყვნენ ძველები, ეროვნულ საგანძურების უარმყოფელნი, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გადაუხალისებიათ გული. ამათ კრების მთლიანობასა და ეროვნულ სიმტკიცეში შეჰქონდათ შხამიანი გრძნობები, გაყინული და გაცვეთილი აზრები. მომავალ კრებამ განსაკუთრებით ასეთ ძველებს, მოუხეშავ ძალებს უნდა მიაქციოს ყურადღება; მათ ეროვნულ საქმის წაწყმედა შეუძლიანთ მხოლოდ. ძალიან დამახასიათებელ შემთხვევას უკვე ჰქონდა ადგილი. კრების ამორჩეულ ასისენტებს უნდა შეემოწმებინათ წევრთა ხელმოწერილი ფურცლები. დასელთა ასისენტმა პეტრე გელეიშვილმა ქართულ დაწესებულების ქართული სია რუსულის ხელის მოწერით დაამშვენა. დამფუძნებელ წევრთა თავმჯდომარემ ბ. შიო დედაბრიშვილმა სამართლიანად დაინახა ამ მოვლენაში ეროვნულ გრძნობის შერყვნა და პროტესტი განუცხადა გელეიშვილს:

— ბ. პეტრე, რად დაამახინჯეთ რუსულის წარწერით ქართველთა ქართული სია?

— ასე სჯობიან,—მიუგო პეტრემ.

ყველა დამსწრე გელეიშვილის უხამსმა საქციელმა საშინლად ააღელვა. ასეთი გმირები ეროვნულ საქმეს ვერ გაანვითარებენ, ვერ დაამშვენებენ, მაგრამ საბედნიეროდ ხალხი უკვე გამოფხიზლებულია და ასეთ ძალებს პროტესტს უცხადებს...

თედო ღლონტი.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

17 თებერვლის სხდომა.

ნაშუადღევს რომ განახლდა სხდომა, ნეკრასოვი თავმჯდომარეობდა.

ირჩევა შეკითხვა მუშებისადმი ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ.

კონოვალოვი ეხება სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან არსებულ მუშათა ჯგუფის მოქმედებას. მათი დაპატიმრება მუშათა მასაში სასოწარკვეთილებასა ჰბადებს. მთავრობის ოფიციალური ცნობით მათ უნდათ სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ეს ტყუილია. ისინი თავგამოდებით იღვწოდნენ სამშობლოს დასაცავად. ამ დღეებში სამხედრო-სამრეწველო ცენტრალურ ბიუროში მოვიდა ორი მუშა და გვითხრა: დაგვეხმარეთ მუშათა დამამშვიდებელი წერილი დაგვაბეჭდინეთო, მაგრამ იგი ცენზურამ არ გაუშვა (მაკლაკოვმა ხმამაღლა წარმოსთქვა სალანძღავი სიტყვა, რისთვისაც იგი ერთ სხდომიდან განდევნეს). კონოვალოვი ასე ათავებს სიტყვას: მუშათა წარმომადგენლებს უსაყვედურებენ, საპოლიტიკო საკითხები რად გაინტერესებთო, მაგრამ განა ეს საგანი აკრძალული უნდა იყვეს? რუსის მოქალაქე უუფლებოა, მაგრამ იგი მონა არაა. მუშათა დაჩაგვრით მთავრობა ებრძვის საზოგადოებას და საზოგადოებრიობას.

ვოლკოვი ემხრობა კონოვალოვს და პროტესტს აცხადებს მუშათა დაპატიმრების წინააღმდეგ.

ჩხეიძეს საჭიროდ მიაჩნია გამოაქვეყნოს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფის რეზოლიუციები, რომელიც დეკემბერში მიუღია. ეს დოკუმენტი ნათლად ამტკიცებს, რომ მუშებს ებრძოდა არა მარტო მთავრობა არამედ „ხაზეინებიც“. მათ ემხრობა სათათბიროს უმრავლესობაც. იგი ისეთს საკითხსაც გადასდებს ხოლმე, როგორიც გადასახლებულ დეპუტატების საქმე.

კერენსკი აცხადებს, რომ გაზეთებში დაბეჭდილი სიტყვა ნამდვილად ჩემი როდია. იგი დამახინჯებულია არა მარ[illegible] ცენზურისაგან. შემდეგ იგი ეხება [illegible] საქმეს. სათათბიროს უმრავლესობის ინტერესები გადახლართულია მთავრობის ინტერესებთან და ამიტომ იგი მარტო ლამაზ სიტყვებს აღიარებს და სხვას არაფერს.

შეკითხვა ხმის დიდის უმეტესობით იღებს შეკითხვას. შემდეგი სხდომა დღეს, 21 თებერვალს მოხდება.

ქართველი ერი და რუსული პრესა

მოსკოვის გაზეთი „უტრო როსიი“ სწერს 14 თებერვლის ნუმერში: მოსკოველ ქართველების პოლიტიკური აზრი ნამდვილი გამომხატველია იმ ეროვნულ მისწრაფებათა, რომელთაც უკავშირებს საქართველო დღევანდელს ომს. მოსკოვის ქართველთა წრეებში ჰფიქრობენ, რომ ეროვნულ-უფლებრივი პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედვა ნეიტრალურ სახელმწიფოების ნოტას, უეჭველად შეეხება საქართველოსაც, რომელსაც აქვს გეოგრაფიულად და ეკონომიურად შემოფარგლული ისტორიული ტერიტორია და რომლის მკვიდრთა—ქრისტიანთა და მაჰმადიანთა რიცხვი უდრის ორს მილიონს.

საქართველოს საკითხს თავისი ისტორია აქვს. შორიდან რომ არ დავიწყოთ ქართული პოლიტიკური აზროვნების გამოკვლევა, საკმარისია გავიხსენოთ თავის დროზე გამოქვეყნებული უქვეშევრდომილესი მოხსენება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა (1905 წ. 11 აპრილის) სადაც ნაჩვენები იყო გზა საქართველოს მშვიდობიანი და კულტურული განვითარებისა. ამნაირივე იყო ქუთაისის ქალაქის საბჭოსი, რომელმაც იმავე წლის ზაფხულში მოხსენება წარუდგინა მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს ავტონომიის შესახებ სახელმწიფო სათათბიროშიც იყო შეტანილი მოხსენება პირველი სათათბიროს წევრის ა. ლედნიცკის მიერ (ქართველ ავტონომისტების მინდობილობით) და მეოთხე სათათბიროს წევრის ვარ. გელოვანის მიერ. უკანასკნელი საქართველოს ავტონომიის კანონ-პროექტსაც ამზადებდა, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა არ დააცალა ამის განხორციელება...

მიუხედავად ამისა ბიუროკრატია დღემდის არ აკმაყოფილებს ქართველი ერის ისეთს ეროვნულ მოთხოვნილებას, როგორიცაა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ერობა, ნორმალური სასართლო, ეროვნული სკოლა.

რუსის გავლენიანმა ინტელიგენციამ, კადეტების პარტიამ 1905 წლის ერობათა და ქალაქებს მოღვაწეთა ყრილობის შემდეგ უყურადღებოთ დასტოვა რუსეთის კრების და მათ შორის ქართველების საკითხი, მხოლოდ ფინლანდია და პოლონეთი გაიხსენა... მარტო ეხლა, როცა შეუდგნენ სომხეთის ავტონომიის საკითხის გადაწყვეტას, კადეტებმა საჭიროდ დაინახეს შეიტანონ პარტიული კრების საგნების სიაში საქართველოს საკითხიც.

მოსკოვის ქართველების წრეებში დიდს იმედს ამყარებენ სახელმწიფო საბჭოს ახლად არჩეულ წევრზე, ქ. აბხაზზე, რომელსაც შეუძლიან სათანადოდ გააშუქოს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებათა წინაშე ქართველი ერის პოლიტიკური მოთხოვნილება.

კოოპერატიული უკუღმართობა ჩვენში.

დღეს ვინლა არ იცის ჩვენში, რომ კოოპერაცია თავისუფალი, საზოგადოებრივი დაწესებულებაა, რომ იგი თავის ეკონომიურ ძალას, თავის შემოქმედებას ადგილობრივ მცხოვრებთ აძლევს და აქედგანვე შეივსებს დახარჯულ ენერგიას.

და აი სწორედ ეს მოსაზრება დაედო სარჩულად უდროოდ დაბადებულ ამიერ კავკასის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დაარსებას. წინააღმდეგნი თუ მომხრენნი ბოლოს იმაზე დასთანხმდნენ, რომ ეს დაწესებულება ჩვენი იქნება ღვთის და დედამიწის კანონების მიხედვითო; ჩვენ—ადგილობრივი მცხოვრებნი და მათში ქართველნი, რომელნიც თითქმის 70% შეადგენენ ამ კავშირში, შევიქმნებით ამ კავშირის ბატონ-პატრონნი და მის ცხოვრებას ისე წამართავთ როგორც შეეთვისება უმრავლესობის სამართლიან ინტერესებსო.

იმ თავითვე დიდი ეჭვი მქონდა ამ ზევიდგან მოვლენილ დაწესებულებისა. მეგონა და უკანასკნელ 2 წარმომადგენელთა კრებამ სრულიად ცხად ჰყო ის მოსაზრება, რომ კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერიებდაო, ქაჩალი, რომ ექიმი იყოს თავის თავს მოირჩენდაო. ყველაფრის და ყველასათვის დამპირე კავშირი, თურმე ცხვირწინ მდებარე კოოპერატივთა საჭიროებას ვერ აკმაყოფილებდა, არამცთუ ლენკორან—სვანეთამდე მიეწვდინა რამე.

ის ნორმალური გზა კოოპერატიულ მოძრაობის გაფართოვებისა, რასაც კოოპერაციის ისტორიაც გვიჩვენებს და რასაც ყოველი ჩვენგანი უნდა ხმამაღლივ ჰქადაგებდეს ადგილობრივ სიდუხჭირეს და ადგილობრივ მომუშავეთ გამოუნახავთ: დაუარსებიათ სხვა და სხვა სახით ადგილობრივ-რაიონულურ კავშირების მაგვარები და ასეთი დაწესებულებანი უფრო სასარგებლოდ მცხოვრებთათვის უფრო ხელსაყრელი გამომდგარა ვიდრე შორეული ტფილისის კავშირი. განა ამის კიდევ ლი ნინო უნდოდა!.. განა ამაზე არ დაიწერა და არ იწერება აუარებელი წერილები ჩვენში, ამაზე არ წაიკითხა თითო-ოროლა მოხსენება... მაგრამ სიტყვა თურმე სიტყვად რჩება ჩვენში, კეთილი აზრი გაზეთის ფურცლებს არ შორდება და მასის ცხოვრების მიმართულების მიმცემნი ისევ პოლიტიკით და სხვა რამეებით გატაცებულნი პირნი ყოფილან აქაც და არა კოოპერაციით და მისი, წმინდა სანთელივით ჩამოქნილ, პრინციპებით, რომელნიც ჩაგვჩიჩინებენ: იყავ შენი თავის იმედად, შენი ბედი და იღბალი ააგე ადგილობრივ საშუალებათა და საჭიროებათა მიხედვით, მოჭირნახულე ეძიე შენიანში, შენს მიდამოში; იყავ თავისუფალი და თავისუფალ წევრად იგრძენ თავი საერთაშორისო კოოპერატიულ ოჯახში; ნუ ცილუსები სხვასთან ეროვნობით და ინტერესებით; სხვისა კარგი და დაწინაურებული მიამყენი შენს საკუთარ ცხოვრებას, რათაო ეღირსოს მის იმ საფეხურამდე ასვლას, რომელზედაც ჩვენთვის სანატრელი ერნი ასულან.

ქართველ ქალთა საზეიმო საღამოზე ერთი უცხოელი მეკითხებოდა: მაჩვენეთ, თუ ღმერთი გწამთ, ქართველი ქალიო. ასეა ყველგან და ყოველთვის ჩვენში. სად არის ქართული დაწესებულება და ქართველნი საძიებელი საჭოჭმინო საგნად გარდა ორი რუსის, ორი სომეხის და ორი თათრის წარმომადგენელთა გამო კოოპერატორთა ყრილობის სჯა-ბასი იყო 70% დამსწრეთა გაუგებარ ენაზე და იყო ერთი ვაი უშველებელი ამა თუ იმ მხრივ პრეტესტების სახით.

მერე ვისთვის არის ასეთი ბლუხვა სასარგებლო. არავისთვის. დროა ეს ყველგან და ყველამ შევიგნოთ დავრ-

---

მეფე თეიმურაზ I († 1663 წ.) რომელიც სთარგმნიდა სპარსულიდან. მასვე ეკუთნის რამოდენიმე ორიგინალური სალირიკო ლექსი და ოდებიც. ნაციონალურ-ისტორიული თვისებები მეორე გვირგვინოსანის, არჩილ მეფის († 1712 წ.) ნაწარმოებში უფრო ნათლად გამოიხატება. მეფე ვახტანგ მე VI-ემ, ამ ხანის ენერგიულმა და მრავალ მხრივმა მოღვაწემ სთარგმნა სპარსულიდანვე საბა-სულხან ორბელიანთან ერთად ინდიურ-იგავ არაკთა კრებული „ქელილა და დამანა“ („ქალილა და დიმნა“). სულხან ორბელიანი ცნობილია აგრეთვე როგორც ფრიად ნიჭიერი მოიგავ-არაკე, მისი „ქართული ლექსიკონი კი დღესაც საყურადღებო ნაწარმოებად ითვლება ჩვენს მწერლობაში. სპარსულ სხვა მრავალ ნათარგმნ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია „შაჰნამე“ (წიგნი მეფეთა) ანუ „როსტომიანი“. უფრო დამოუკიდებელ მწერალთაგან კი ყველაზე მაღლა თავის ნიჭით და შემოქმედებით სდგას დავით გურამიშვილი. († 1787 წ.) მან მონაწილეობა მიიღო ეგრედ წოდებულ შვიდ წლიან ომებში და თავის მოღვაწეობით წინათ განჭვრეტა მე XIX-ტე საუკუნის ქართულ-ნაციონალური მწერლობის ხანა ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც აღმოცენდა ახალს საფუძველზე საერთოდ რუსული კულტურის მეოხებით და განსაკუთრებით რუსული ლიტერატურის ზეგავლენით. *) მეოთხე ხანა დააბოლოვა ბესარიონ გაბაშვილმა, ეროტიული სიმღერებისა და პირადი ლირიკის ავტორმა. მისი ლირიკა მეფის ასულის, ერეკლე მეორის დისადმი უიმედო სიყვარულით არის გამოწვეული. ამავე დროს გაჩნდა ჩვენში ნათარგმნი დრამატიული მწერლობაც.

შემდეგ იწყება ჩვენი მწერლობის მეხუთე ხანა, რომელიც მთელს მე-XIX-ტე საუკუნესა და მე XX-ცე საუკუნის პირველ ათ წელიწადს იპყრობს. ამ ხანას მე აქ სრულებით არ შევეხებოდი, რადგან იგი საკმაოდ არის განხილული, მაგრამ ჩვენი მწერლობისათვის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მხარე უყურადღებოთ არი დატოვებული.

ამიტომ იძულებული ვართ იგიც მოვიხსენიოთ, მოკლედ მაინც.

3. მე-XIX-ტე საუკ. ქართული მწერლობის ხასიათი.

დღემდის ქართული სიტყვი კაზმული მწერლობა უმეტესად და თითქმის სრულიადაც, დამოკიდებული ყოფილა უცხო მწერლობაზე, ხოლო სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ერის მწერლობას ჰქონია მაზედ გავლენა. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჩვენი მწერლობა რუსეთის ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ იზრდებოდა უმთავრესად, თუმცა ამავე დროს იგი ევროპის მწერლობითაც უხვად სარგებლობდა. მაგრამ ევროპის გავლენა უმნიშვნელოა რუსეთის მწერლობის გავლენასთან შედარებით. რუსული მწერლობის მებრძოლი სული და ხასიათი, განსაკუთრებით მესამოცე წლების მწერალთა მოქალაქეობრივი მოტივები ჩაგრულ ხალხის მძიმე უღლიდგან განსათავისუფლებლად, მშვენიერად შეეხამებოდა ჩვენი ერის მაშინდელს უნუგეშო მდგომარეობას, და ჩვენს მწერლობასაც საგმირო ხასიათი ეძლევა. პუშკინისა და ლერმონტოვის წმინდა პოეზიის მსახურება თავისუფლების აზრების ქადაგებისთან ერთად, გოგოლის შეუდარებელი სამწერლო ჰუმორი, დოსტოევსკის ღრმა ფსიხოლოგიური ანალიზი ადამიანის სულიერი ცხოვრებისა, ტურგენევის გლეხისა და მისი ცხოვრების იდეალიზაცია (ახლად გამოფხიზლებული ინტელიგენციის პრაქტიკული მოღვაწეობის პირველ ნაბიჯთან ერთად) და ტოლსტოის უმაღლესი კაცთმოყვარეობის იდეის პროპაგანდა ჩეხოვისა და გორკის სასიქადულო მოღვაწეობით დამთავრდა. პირველის შემოქმედების ძირითადი აზრი იყო იმ გულის მგმინავი უაზროების დასურათება, რომელშიდაც ჩაკლული იყო მთელი რუსეთი მე-80-ცე წლებიდან მოკიდებული 1908 წლამდე, დამარცხებული მოძრაობის მოახლოვებამდე: ხოლო მეორემ—გორკიმ—მტკიცე ნიადაგი მოუმზადა ამ პირველს განმათავისუფლებელს მოძრაობას მისი პირველი ნაბიჯის გადასადგმელად მშრომელი ხალხის ღრმა და ფართო უკმაყოფილების დასურათებით. დღემდის მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლებიც კვალდაკვალ მისდევდნენ თავიანთ რუს თანამოძმეთ და ხშირად უცვლელადაც იმეორებდნენ კიდეც მათ მიერ აღნიშნულ მოტივებს. მაგრამ ჩვენს მწერლებს ამასთანავე თავიანთი საკუთარი მიზნებიცა სწამდათ, თავიანთი მწერლობის ეროვნული დანიშნულებაც ნათლად ჰქონდათ შეგნებული და ამ აზრს ისინიც თავგამოდებით ემსახურებოდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის საერთო მოტივებთან ეროვნულს ჰანგზე უნდა აეჟღერებინათ თავიანთი ჩანგი ხალხის მიძინებული თვითშეგნების გამოსაღვიძებლად. ამ მხრივ შეუდარებელ მებაირახტრეთ ჩვენი დიდი ილია და აკაკი გამოვიდნენ, რომელთა უწმინდესს მისწრაფებასაც ჰარმონიულად შეუხმატკბილეს თავიანთი სულისკვეთება დანარჩენმა მწერალ-მგოსნებმაც. შორს მჭვრეტელმა აკაკიმ წინასწარმეტყველურად გვამცნო, რომ ის, ვისთვისაც იგი მღერის, „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“-ო. უმთავრესად ამ ერთად-ერთ აზრს უტრიალებდა მუდამ აკაკის მთელი პოეზია, ამით ცოცხლობდა იგი და ელოდდა თავის სატრფოს გაწვიმებას და განთავისუფლებას. მან ვერ იხილა სრულიად თავისუფალი სამშობლო და ეს ჯავრი შხამად ჩაჰყვა მას ცივს სამარეში. დიდის ბრძოლით მოქანცულს და ჟამთა ვითარებით დაუძლურებულს პოეტს თითქოს იმედი და რწმენაც კი დაეკარგა სამშობლოს განახლებისა და და ამბობდა სიკვდილის წინ: ნეტავ ვიცოდე, რით გათავდება ეს მსოფლიო ტრაგედია (ომი) და რა მოელის ჩემ საყვარელს სამშობლოსაო. მგონი, ამისმეტი ჯავრი არ ჩაჰყოლია ჩვენს დიდს მგოსანს საფლავში. მაგრამ უფრო ახალგაზდებმა ახალგაზრდული გონების თვალით შეჰხედეს სინამდვილეს და დაინახეს, რომ მან, ვისაც აკაკი ასე გულმხურვალედ უმღეროდა, უკვე გაიღვიძა, და ეხლა ახალი სინათლე ესაჭიროება მას ამ სიფხიზლის განსამტკიცებლად და შესარჩენად. იოსებ გედევანიშვილმა ცხადად გამოსთქვა თავის ალეგორიულ „სინათლეში“ ეს აზრი. მართალია, გათვითცნობიერების მხრივ ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწია რუსეთის გავლენის ქვეშ განვითარებულმა მწერლობამ, მაგრამ მთელი მეცხრამეტე საუკუნე ჩვენი ეროვნული კულტურისათვის ერთს დიდს შავს წერტილად უნდა მივიჩნიოთ. ჩრდილოეთის კულტურამ ამ ხნის განმავლობაში ისე შეაჩერა ჩვენი საკუთარი კულტურის განვითარება საზოგადოდ და ცალკე სიტყვა-კაზმული მწერლობა, რომ მხოლოდ დღეს თუ მოვდივართ ნელ-ნელა გონს დავიწყებით თვალსაჩინო სულიერ აღორძინებას. იმ დროის მწერალ-მოღვაწენი მოკლებულნი იყვნენ მაშინ საშუალებას ფართო კულტურულ ნიადაგზე ემოქმედნათ დრო და გარემოება ხელს არ უწყობდათ დავიწყებული მშობლიური კულტურა შეესწავლათ და ხელახლად დაეყენებიათ ფეხზე. ერთად ერთი იარაღი მწერლობა იყო და ისიც იმ შერყვნისა და დამახინჯებულს ენაზე, რომელიც ჩვენს ახალგაზდობას შეეთვისებია, მაშინდელი პირობების მიხედვით, სკოლასა თუ ოჯახში, შინ თუ გარედ. წმინდა ხალხური ენა, სახალხო პოეზიასა და თქმულებებში დაცული, ჯერ არსად სჩანდა. იგი მივარდნილ-მიყრუებულს სოფელში ინახებოდა და უცდიდა თავის შემკრებსა და მკვლევარს; გულშემატკივარ მოჭირნახულეს. ეს შებოჭილ-შებორკილი და შელანძღული ენა თანდათან განთავისუფლდა სასტიკი ბრჭყალებისაგან, მაგრამ საბოლოოდ და სავსებით მარტო დღეს განახლდა იგი, აღსდგა, თანახმად გამოღვიძებული ერის სულიერი მოთხოვნილებისა. სხვა და სხვა ფაქტორებთან ერთად ამას ხელი შეუწყო რუსთველის ენის შესწავლამ და საზოგადოდ ძველი მწერლობის გაცნობამ. თუ გნებავთ, რუსთველის ენა ეხლა უფრო გაფართოვდა, გაიზარდა. ასე რომ ახლა, ვფიქრობ, ვერც ჩვენი სიტყვის ვირტოზი, შოთა დასწამებდა ენის სისუსტეს ზოგიერთს ჩვენს ახალგაზდა მგოსანს მაინც. ამათაც შეიგნეს ენის სისუსტე და სცდილობენ მის აღდგენას. მაგალითად გრიშაშვილმა ალღოთი, ინტუიციით იცის, რომ მთელი ჩვენი ახალი მწერლობის ენა შერყვნილია: იგი არ არის წმინდა ქართული. სულ მცირე გამონაკლისი სათვალავში მისაღები არ არის. მხოლოდ ეს უმცირესობა არ დაემორჩილა გადაგვარების გზას, თუმცა მანაც განიცადა ეს არა სასურველი გავლენა. საერთოდ რომ ვსთქვათ, ყველა მათგანი გრძნობდა ქართველის სულში უცხო ფორმის გამეფებას. ამიტომაც იყო რომ უკან, შორს, რუსთველისაკენ ვიხედებოდით და შეცდილობით დღესაც მისი ენის შეთვისებას, შეგნებას და აღდგენას ჩვენს პოეზიაში. აკი გრიშაშვილიც მოგვიწვევს, გვიპატიჟება შოთასაკენ:

და ენით, იმ ენით, შოთა რო ლექსს გვფენდა,
შეჰქმენით ლეგენდა, უკვდავი ლეგენდაო,

ქართულმა მწერლობამ თავის უტილიტარისტული დანიშნულების უდიდეს ნაწილს უკვე მიაღწია და ამის შემდეგ იწყება, შეიძლება ასე ვსთქვათ, წმინდა ხელოვნების მსახურება.

გ. ქუმბურიძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) გურამიშვილის შესახებ იხ. ვახტანგ კოტეტიშვილის წერილები „ს. ფ.“

წმუნდეთ რომ საკუთარ ყრილობებზე ყველაფრის კარგად გაგებით და შესწავლით უფრო მეტს სარგებლობას მოუტანთ ჩვენს მეზობლებს, თუ კი ისინი ჰსაჭიროობენ ამას. ადგილის კურდღელს, ადგილისვე მწევარი ეჭირვება. არ ყოფილა არადროს „ხულერთის“ პოლიტიკა და ტაქტიკის მართალი, არ არის იგი მართალი კოოპერაციაშიც.

მიმართვა ქართველ საზოგადოებისადმი

როგორც ქართველ მკითხველ საზოგადოებას მოხსენება, კიევის კომერციულ ინსტიტუტთან არსებობს ქართული სამეცნიერო წრე. წრის მიზანია ხელი შეუწყოს მსურველ ამხანაგებს კულტურულ-მეცნიერულ მუშაობაში. დახმარება წრისა გამოიხატება უმთავრესად მატერიალური ქონებით (განზრახულ სამეცნიერო მუშაობისაგან გამოწვეული ხარჯებით) და საჭირო ხელმძღვანელობით.

წრეს განზრახული ჰქონდა, კიდევ ომის დაწყებამდე, მოეხდინა ანკეტა მეღვინეობისა და მევენახეობის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ ეს განზრახვა ომამდე ვერ მოხერხდა, რასაც შეუძლებლად ხდიდა მატერიალური ხელმოკლეობა წრისა. ამ უკანასკნელის დასაფარავად მიღებული იყო ყოველივე ზომები, ხოლო თანამედროვე მსოფლიო ომის ქარტეხილმა დასაწყისი შეაჩერა. ეხლა ამ საკითხის დაბოლოვება ვალად ედება მომავალ ქართველ სტუდენტობას კომერციული ინსტიტუტისას და ვიმედოვნოთ, რომ განძრახვას სისრულეში მოიყვანენ, როგორც კი დრო და გარემოება ხელს არ შეუშლის და მასთან ერთად ჯეროვან თანაგრძნობას დაინახავენ ქართველ საზოგადოებისაგან.

ეს განზრახვა იყო მხოლოდ ერთი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. ამას გარდა წრეს სხვა მრავალი საქმეებიც ეინტერესებოდა, რაც შეიძლებოდა მეტი წევრები შემოეკრიბე თავის გარშემო და გაეღრმავებია სამშობლო მხარის ყოველმხრივი შესწავლა, რომ მით მოემზადებინა წევრნი მომავალ სასარგებლო მუშაობისათვის, მშობელი ერის კეთილდღეობისათვის. ამ მიზნის ასე თუ ისე განსახორციელებლად აარსებდა სხვა და სხვა დარგის სექციებს მაგალით. „სოციალურს“ „საკოოპერაციოს, საეკონომიოს, საისტორიოს,“ სალიტერატუროს.

გარდა ამისა წრეს მიზნად ჰქონდა მჭიდრო კავშირი ჰქონოდა სამშობლოსთან. რის დასაკმაყოფილებლად გამოწერილი ჰქონდა ქართული ყველა პერიოდული გამოცემანი. როგორც ვხედავთ, დიდი პასუხსაგები მოქმედება ევალებოდა წრეს და ეჭვს გარეშეა, რომ მას, მისი საშუალებათა ხელმოკლეობისა გამო შესრულება გაუძნელდებოდა.

რომ წრის განზრახვას ყოველ მხრივ არ შეეკვეცოს ფრთები, წევრთ უიმედობა რომ არ დაეტყოთ, საჭიროა, დაუყოვნებლივ დახმარება როგორც მატერიალურს (ფულით, წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით) ისე მორალურის მხრივაც.

გაითვალისწინა რა ყოველივე ზემოდ ნათქვამი სამეცნიერო წრის გამგეობამ გადასწყვიტა მიმართოს ქართველ საზოგადოებას დახმარებისათვის. კერძოდ მივმართავთ ქართულ-ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, დაუთმონ უფასოდ თავიანთი გამოცემანი*) იმედი გვაქვს ქართული სამეცნიერო წრის მოვალეობას ქართველი მკითხველი საზოგადოება თავისი თანაგრძნობით გაუადვილებს მოქმედებას.

ყოველი დახმარება შეიძლება გამოიგზავნოს, წრის სასარგებლოდ შემდეგის მისამართით: **Кiев. Караваевская № 43—16 С. Лежава.**

გამგეობა.

P. S. ვსთხოვთ ქართულ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი. **გ.**

ქართველ-სომეხთა ურთიერთობა

მ. ხ. ბატონო რედაქტორო!

სომხურ გაზეთ „მშაკ“-ის მე-29 ნუმერში დაბეჭდილია ზოგიერთი ადგილი თქვენი პატივცემული გაზეთის დონის როსტოველ კორესპონდენტის წერილისა. დიდად ვწუხვარ, რომ არ ვიცი ლამაზი ქართული ენა და არ შემიძლია შევამოწმო, ვინ გადაამახინჯა ჩემი აზრები—თქვენმა თანამშრომელმა, რომელმაც გადმოგცათ „პრიაზ. კრაი“-ში მოთავსებულ ჩემი წერილების შინაარსი, თუ გაზეთმა „მშაკმა“, სადაც ოდესღაც ვმუშაობდი და შემდეგ დავშორდი პრინციპიალური უთანხმოებისა გამო. ყოველს შემთხვევაში, დამეთანხმებით, რომ ახლაც გამართლდა ძველი იტალიური ანდაზა, რომ მთარგმნელები გამცემლები არიანო.

თუ „მშაკს“ დავუჯერებთ, თქვენი თანამშრომელი სწერდა, ვითომც „პრ. კრაის“ ფურცლებზე ვამტკიცებდი: „ქართველები უნდა უმადლოდენ სომხებს, რომ უკანასკნელებისაგან მიიღეს ანბანი, სალვთო წერილის წიგნები ქართველებმა სომხურიდან გადმოიღეს, სომხები კულტურით ქართველებზე მაღლა დგანან და ყოველთვის გავლენა ჰქონდათ მათზე“. ერთის სიტყვით, ბ. ჩალხუშიანი როგორც კი შემთხვევა მიეცემა, აქებს სომხებს და აღნიშნავს მათ გავლენას სხვა ერებზე. „რა საჭიროა, რომ ეს ადამიანი (ე. ი. მე) ყოველთვის იმეორებდეს — სომხების კულტურა უფრო მაღალია, ქართველები სომხებს უნდა უმადლოდნენ“...

დაგარწმუნებთ, ბ. რედაქტორო, რომ აქ არც ერთი სიტყვა არაა მართალი. ყველაფერი შეთხზულია. მეტსაც ვიტყვი. გაზეთ „ჰორიზონ“-ში რამდენიმე წერილი დავბეჭდე, სადაც მაღლა ვაყენებდი ქართველების კულტურობას და ციფრებით ვამტკიცებდი, როგორ ვითარდება ქართველებში კულტურული საზოგადოებანი, როგორ ინტენსიურად მუშაობს თქვენი პრესა და კავკასიაში პირველი ადგილი გიკავიათ წიგნების გამოცემით. სომხებისთვის მაგალითად გასახელებდით და „ჰორიზონსა“ და „პრიაზ. კრ.“-ში თუმცა ვებრძოდი „ზაკავკ. რეჩ“-ისებურ შოვინისტებს, მაგრამ მუდამ ვავრცელებდი ინტელიგენტ ქართველების აზრებსა და გრძნობებს: კერძოდ ერთ წერილში „პრ. კრ.“-ში (სალამი ქართველ დემოკრატებს) სიყვარულით აღვნიშნავდი თქვენი თანამშრომლის ბ. სიტყვას წერილს, მომყავდა „თ. აზრის“ შეხედულობა და ვამბობდი: „ჩვენი განხეთქილება მტრის ძალაა. ძირს ასეთი განხეთქილება და გაუმარჯოს ქართველ დემოკრატიას, რომელიც ააშკარავებს ფარისევლობას და სიყალბეს და ამზადებს ნიადაგს ერების ერთობისა და თანხმობისთვის. მშვენიერი სიტყვა მშვენიერი სალთესლია. ყველგან ვრცელდება, ფესვებს იკეთებს და იზრდება კეთილშობილ ადამიანთა გულში. ცხოვრების ქარიშხლისა და ავდრიანობის დროს თესლი გაყუჩებულია, მაგრამ სიცივე და ღრუბელი გადაივლის, გამოჩნდება მზე, გაათბობს იმ დიდებულ, კეთილშობილურ იდეებს, რომლებიც ძალას გვანიჭებენ, გაუძლებენ ღვარძლსა და სიბოროტეს და გარდავლენ საუკუნიდან საუკუნეში, თაობიდან თაობაში და მიახლოვებენ ადამიანს ცას“...

ეს სიტყვები მათქმევინა ბ. სიტყვას კეთილშობილმა მოწოდებამ, რომელიც სწერდა თქვენს გაზეთში: „დეე, ძალის სახელით ილაპარაკოს იმან, ვისაც მოეპოვება ეს ძალა. ჩვენ კი პატარა ერები ძლიერნი ვართ ერთობით, ერთმანეთის პატივისცემით და ჩვენი დევიზი იყოს: არავის მივსცემთ ნებას ჩვენი ერი დაიმორჩილოს, მაგრამ არც ჩვენ გავთელავთ ფეხით სხვა ერების ღირსებას“.

ჭეშმარიტია და იყოს აგრე. ნურავის დავამცირებინებთ ჩვენს ერს, მაგრამ პატივითა და ფრთხილად მოვეპყრათ სხვა ერების უფლებას და პიროვნებას. დეე ეს იყოს სახელმძღვანელო აზრი იმ პატარა ერების პასუხისმგებელ წარმომადგენლებისა, რომელთა ბედი ისედაც მწარეა და სავალალო!..

ბ. რედაქტორო, ვსარგებლობ შემთხვევას, რომ გამოვსთქვა ჩემი გულითადი პატივის ცემა ქართველი ხალხისადმი. დიდად მოხარული ვიქნებოდი, თუ სიმართლის გულისთვის მოთავსებდით თქვენს გაზეთში ამ ჩემს წერილს.

გრ. ჩალხუშიანი.

დონისროსტოვი.

წმ. ნინოს უძველესი ეკლესია გარეთკახეთში

(დასასრული *)

ხსენებულ სახარების პატრონს პატივცემულ მ. ალექსი გულიშვილის, რომელმაც ეს სახარება შემოსწირა საქართველოს საისტორიო და სათნოგრაფიო საზოგადოებას, არ ახსოვს ვინ და როდის გაცარცვა ეს სახარება; პატარობიდანვე ასე მახსოვს ეს სახარება მამიჩემის დროსვეო.

იქ სადაც წმ. მათე მახარობლის სახარება თავდება, მეორე გვერდზე ცოტა მომცრო ხელით ხუცურადვე სწერია: „შესხმა სოფრონის მიერ წმინდისა მარკოზ მახარობლისა. მარკოზ მოწაფე ქრისტესი მომთხრობელი რაოდენიცა ესმა წმიდისა პავლეს მიერ ქადაგება. და მოუწოდეს ძმათა რომთა აღწერად მცირისა სახარებისა“. მერე სწერია: „და დაწერა წმ. სახარება და წარვიდა ეგვიპტედ, რომელ ამან წმიდამან მარკოზ პირველად ქადაგებდა ალექსანდრიას შინა სახარება ქრისტესი და აღაშენა ეკლესია მუნ.

ბოლოს სოფრომი სწერს... „წმ. მარკოზ ასწავებდა სარწმუნოებასა ქრისტესსა ერთა მორწმუნეთა. მიიცვალა ნერონისა მეფობისასა წელსა მერვესა და დაეფლა ალექსანდრიას და მის წილ დაიდგინა ანანია“. ამის შემდეგ მეორე გვერდზე სწერია: „მისივე მახარობლისათვის შესხმა დოროთეს მიერ წმ. მოწამისა და სინოფსელისა ეპისკოპოზისა ტრელისა (ეს სიტყვა ვერ გავარჩიე, არ იკითხება). შემდეგ დოროთესი სწერს: მარკოზ მახარობელი და პირველი ეპისკოპ. ალექსანდრიას შინა და ყოვლისა გარემო სოფლებისა მისსა. პირველად ამან ქადაგან სახარება ქრისტესი ეგვიპტიდან ვიდრე ხუთ ქალაქამდე“. ამის შემდეგ მეორე გვერდიდან იწყობა სახარება მარკოზისა.

მახარობელი ლუკა'ს სახარებასაც წინ უძღვის შესხმა სოფრონისა. აქ ნათქვამია რომ მახარობელი ლუკა ანტიოქელი მკურნალია და როგორც მისი წიგნი გვაუწყებსო ელინურის ენით წერილი. ლუკა იყო მოწაფე წმ. პავლე მოციქულისა და მასთან მუდამ განუშორებლივ მქადაგებელი.

მან დასწერა „საქმე მოციქულთა“ რომ ნერონის მეფობის მეოთხე წელს. ბოლოს სოფრონი ამბობს: „ხოლო მეოცესა წელსა მეფობისა კონსტანტინესსა მოიღეს გვამი მახარობელისა ლუკასი და დადვეს მოციქულისა ანორიას თანა კონსტანტინოპოლის“. შემდეგ ამისა აქვე სწერია: „შესხმა [illegible] მახარობელ ლუკასი, რომელი დაწერა დოროთეოს მოწამემან და ეპისკ. ტირონ სინოპილესმან..... „და მიიცვალა ეფესოს და დაეფლა მუნვე და შემდეგ რაოდენისამე ჟამისა მოიტანეს ნაწილნი მისნი კონსტანტინეპოლის ანდრიასსა და ტიმოთეს თანა მოციქულთა ჟამსა კონსტანტინე მეფისა, ძისა დიდისა კონსტანტინესსა“. ამის შემდეგ იწყება სახარება ლუკასი.

წმ. იოანე მახარობელსაცა აქვს დართული შესხმა ამათგანვე. წმ. სოფრონი ამბობს, რომ იოანე მახარობელი იყო ძე ზებედესი და ძმა იაკობისი, ფრიად საყვარელი ღვთისა ჩვენისა—ძმად ღვთისა წოდებული. შემდეგ აქებს მის უპირატესობას და მაღალის კილოთი ღვთისმეტყველების წერას; რომ უპირველესად აღწერა დიდებულის იოანე ნათლის მცემელის ცხოვრება, დატყვევება და სხვ. მერე იხსენიებს რანაირად ორჯელ ტყვედ იყო, მახარობელი იოანე, ნერონის მეფობის მეოთხე წელს და შემდეგ დომენტიანემან კვალად ტყვე ჰყო, პატმოს შინა და მუნვე დასწერა გამოცხადება თვისი, რომელიცა დაწერეს მოწამემან იუსტინემ და ირინეოსმან. ხოლო როცა გარდაიცვალა ბოროტი დომენტიანე, განთავისუფლდა იოანე და მოვიდა ეფესოდ და იყო მუნ ვიდრე ტრაიანეს მეფობამდე და აღაშენა მრავალი ეკლესიანი და შემდგომ ვნებისა ღვთისა დაყო წელნი სამოცდა რვანი და მიიცვალა ეფესოს შინა.

შემდეგ ამისა იწყო შესხმა დოროთეოს მოწამისა, რომელიც თითქმის იმასვე ამბობს, რასაც სოფრონი, ხოლო ბოლოს ამბობს რომ იოანემ იცოცხლა ასოცი წელი და შემდეგ მიიცვალაო. იოანეს სახარების შემდეგ მეორე გვერდზე არის ზანდუკი ანუ სარჩევი ე. ი. რომელ დღეს რა სახარება იკითხვის მთელი წლის განმავლობაში.

ეს ზემოხსენებული სახარება გარდაეცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს თანახმად შემომწირველისა.

ამ ძველ წმ. ნინოს ეკლესიას იქვე ახლო აღმოსავლეთის მხრით აშენებულია ძალიან მაღალი თითქმის ექვს სართულიანი გუმბათი, მშვენიერი ხელოვნურის აგურის ოთხკუთხედებით დაარშიებული მთელ სიმაღლეზე და სიგანეზე. შუაში აქეთ და იქეთ აგურისავე ლამაზი ჯვარი ხოლო თავზე სამრეკლო ამისთანავე აგურით ნაშენი. ზევით სამრეკლოში შენახულია ქართული ძველებური ზარბაზანი სპილენძისა სიგრძით ორ არშინ ნახევარი თითქმის, წინ ტუჩი მტკაველ ნახევარი, მეორე შუა წილს შემდეგ თანდათან განივრდება.

კარგი იქნება რომ ამ ზარბაზანს ჩვენ ეთნოგრაფიულ მუზეუმს შემოსწირავდნენ, აქ უფრო კარგად შეინახებოდა.

ამ გუმბათს კუთხეში მიშენებული აქვს პატარა ეკლესია უბრალო ხევის ქვითნაშენი, თეთრად გალესილი, რომელიც ეხლა შტატის ეკლესიათა აქვთ.

ზ. ჩხიკვაძე.

რუსეთის ამბები

— პეტროგრადის ქალაქის მოურავმა და მოსკოვისამ ჩელნოკოვმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ-დ გოლიცინს სთხოვეს—მიგვიღე მოსალაპარაკებლადაო. გოლიცინს უარი უთქვამს მოურავები სასურსათო საქმეთა გამო უნდა მოჰლაპარაკებოდნენ პრემიერსა.

— რუსულ გაზეთებში სათათბიროს სხდომათა შესახებ ძლიერ ცოტა შთაბეჭდილებებია დაბეჭდილი. „დენი“ და „რუსკაია ვოლია“ აღნიშნავენ პროგრესიულ ბლოკის დაშლის ნიშნებს. უთანხმოებაა არა მარტო ბლოკის წევრ ფრაქციათა შორის, არამედ თვით კადეტებშიაო.

— ტვერში დიდი უფქვილობაა. მრავალი წისქვილი გაჩერებულია. სიმბირსკში სრულიად არ მოიპოვება ფქვილი, არც შემოაქვთ საიდანმე.

— ხარკოვშიანც სრულიად ვეღარ შეაქვთ ფქვილი მდგომარეობა ძლიერ სერიოზულია.

ნავთის უქონლობის გამო ხარკოვის ახლო სუმში წისქვილები გაჩერებულა.

— პეტროგრადის უნივერსიტეტში შობის წინა დღეებში პროფესორმა მიგულინმა პოლონელები ცუდად მოიხსენია. 16 თებერვალს მიგულინმა რომ ლექცია დაიწყო, სტუდენტებმა პროტესტი განაცხადეს—საპოლიტიკო საკითხებს კი არ ვარჩევთ, ლექციის მოსმენა გვინდაო. დაიწყო დემონსტრაცია და შეტაკება აკადემისტებთან. უნივერსიტეტის შენობაში პოლიცია შევიდა.

— მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტის და უნივერსიტეტის სასადილოს შენობა გაჩხრიკეს.

— ტრეპოვის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა საბჭოს მემარჯვენეთა ჯგუფისა. შეეხნენ შჩეგლოვიტოვის და გრიმმის ინცინდენტს, როდესაც პირველმა ნება არ მისცა უკანასკნელს ლაპარაკისა. ჯგუფში ორი აზრი გამოითქვა: უმრავლესობა მიემხრო ტრეპოვს, რომელიც ამტკიცებდა, შჩეგლოვიტოვს ნება ჰქონდა ნება არ დაერთო რიგს გარეშე განცხადების წაკითხვისაო.

— მოსკოვის ქალაქის თვითმართველობამ სურსათ-სანოვაგის საკითხი ძალიან ცუდ მდგომარეობაში მყოფად აღიარა. მთელი გამგეობა და მოურავი ჩილნოკოვი სამხედრო ოლქის უფროსთან წავიდნენ და სთხოვეს: თუ განსაკუთრებული რაიმე ზომები არ მიიღეთ, უბედურება მოგველის, საქმეს მერე აღარა ეშველება რაო. სამხედრო ოლქის უფროსს დახმარება აღუთქვამს.

— კასოს დროს, 1911 წელს მოსკოვის უნივერსიტეტიდან წასულმა პროფესორებმა ითათბირეს და გადასწყვიტეს — პროფესორ ვორმსის დაბრუნება უნივერსიტეტში ულამაზოა, არც პოლიტიკური, არც ზნეობრივი მოსაზრება არ გვიკარნახებს ამასაო.

წერილი რედაქციის მიმართ

როგორც შევიტყე ერთ-ერთ ჯგუფს დავუსახელებივარ წერა-კითხვის საზოგადოების თბილისის განყოფილების გამგეობის წევრის კანდიდატად, ნება მიბოძეთ თქვენი გამოცემის საშუალებით ვსთხოვო ჩემს პატივცემულ ამომრჩევლებს ჩემი კანდიდატურა სრულებით მოხსნან.

გრიგოლ დიასამიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	სად.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28	სად.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-5,	11.18	სად.
თელავისაკენ		№ 4,	9 „	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სად.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	სად.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	სად.
გორიდან	სამგზ.	. . .	6.34	სად.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24	„

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დღით:
11—12 ს. „606“ და „914“

ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.).

ნ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთი:

ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.

1057

თევზის მრეწველნი
ძმ. ქეზველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.

ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის **ხიზილალა**, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი **„მეშონი“ ხიზილალა.** მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შემაიბი.** მუდმივ გვაქვს **ცოცხალი.** აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის **ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო.** გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.

1035

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
წელიწადი მეცამეტე „ნაკადული“ წელიწადი მეცამეტე.

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოვა თვეში ორჯელ.

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის, **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით 6 მ., ნახევარ წლით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის 24 **წიგნი** 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ., მოზრდილთათვის **12 წიგნი** 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. მამადავითის ქ. № 2. დაწვრილებით აგენტებთან. 1436

ქარების (რევმატიზმის)
ნეკრისის
თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია **„უროდონალ“**, და მაზი წასასმელი **„ატრო“** სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი **„ურდონალისა“** ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანათი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი **„ურდონალი“** და ოთხი კოლოფი მაზი **„ატრო“**. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ.

დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბარატორიის ტფილისის განყოფილებას.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16. განყ. 1=9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижокой Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16 отд. 1—9. противъ Государственнаго Банка.

სუსუნატით (ჭინჭრიები)
ავადმყოფებს

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძინენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.**

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება

იმიტომ რომ

ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,

მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება **„ურიტალი“**. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ

ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელათ მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისათვის სჭირდება ექვსი ფლაკონი დაძველებულ ათი ფლაკონი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлиское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16 отд—1—1.** на противъ Государственнаго Банка.

---

*) გამგეობა მადლობას სწირავს „თან. აზრის“ რედაქციას გაზეთის უფასოდ გზავნისათვის წარსული წლის და ახლაც.

*) იხ. „სახალხო ფურც.“ № 799.

Дозволено военной цензурой

სტამბა „ქართლი“ ბ. ი. ციცქიშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა